

შპს „კახური“

ს/კ 231244230

**ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
წლისათვის**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2021	31.12.2020	01.01.2020	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13824	952368	593010	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	146227	101408	259345	
ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	29416	2563	25720	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები	3324360	3503867	3474528	3.2
მ.შ. - მზა პროდუქცია	552372	801971	86537	
- სხვა	2771988	2701896	3387991	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	125879	2039	157359	3.3
ბიოლოგიური აქტივები	50	50	50	
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით	50	50	50	
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	18772	24083	29798	3.4
ძირითადი საშუალებები	804862	878117	961050	
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	4463390	5464495	5500860	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი	25932	43611	143575	3.5
სავაჭრო ვალდებულებები				
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	4958	2966	3192	
საგადასახადო ვალდებულებები		15172	51625	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	519903	1031238	84695	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	56296	49685	36789	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	51102	107398	163927	
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	658191	1250070	483803	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	497816	497816	497816	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	3307383	3716609	4519241	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	3805199	4214425	5017057	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4463390	5464495	5500860	
სულ მოკლევადიანი აქტივები	3639706	4562245	4458552	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	607089	1142672	293855	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.08.2022 წ.

დირექტორები: _____ გ. მარკოზაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2021	2020	
ნეტო ამონაგები	7578398	6086667	3.6
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	7532437	6031998	
- მომსახურების გაწევიდან	45961	54669	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-3869758	-3111566	
საერთო მოგება	3708640	2975101	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	790	795	3.7
დასაქმებულთა ანაზღაურება	-444325	-397500	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-51709	-55654	
საპროცენტო შემოსავალი	4865		
საპროცენტო ხარჯი	-17027	-23081	3.8
იჯარის ხარჯი	-1200	-1200	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-270015	-324717	
სულ საოპერაციო ხარჯები	-778621	-801357	
საოპერაციო მოგება	2930019	2173744	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			3.9
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	-8537	101145	3.9
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	108357	11792	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	3029839	2286681	
მოგების გადასახადის ხარჯი	-515750	-459061	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	2514089	1827620	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	2514089	1827620	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	4214425	5017057	3.10
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-2922583	-2601343	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-732	-28909	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3805199	4214425	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.08.2022 წ.

დირექტორები: _____ გ. მარკოზაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "კახური"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2021	2020
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1858313	2826343
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-41103	-19902
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-2759992	-2537989
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	-942782	268452
სავალუტო კურსის ეფექტი	4238	90906
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	952368	593010
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	13824	952368

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.08.2022 წ.

დირექტორები: _____ გ. მარკოზაშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

2021 წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „კახური“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2001 წლის 20 მარტს თელავის რაიონის სასამართლოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 231244230, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თელავი, თბილისის გზატკეცილი, N 1. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორები არიან საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირები: ზურაბ გოლეთიანი (პ.ნ. 20001000086) - 33,3%, დავით დოღმაზაშვილი (პ.ნ. 01001002469) - 33,3%, გიორგი მარკოზაშვილი (პ.ნ. 20001005266) - 33,4%. სამივე მათგანი იმავდროულად წარმოადგენს კომპანიის დირექტორს.

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ყურძნის გადამუშავებით ნატურალური ღვინის წარმოება და რეალიზაცია. სხვა ეკონომიკური საქმიანობაა - არყის (ჭაჭის) წარმოება.

1.4. კომპანიას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს კომერციულ საქმიანობას მიმდევარი შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი

საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25 წელი;

მანქანა-დანადგარები - 5-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის (გარდა სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამისა), რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%; სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამის ამორტიზაციისათვის გამოიყენება კლებადი ნაშთის მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით 15%.

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური

მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2018-2019 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.0976 ლარი;

1 EUR=3.5040 ლარი.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=3.2766 ლარი;

1 EUR=4.0233 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	165	200
ლარი საბანკო ანგარიშებზე	1244	491
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	12213	939443
ევროები საბანკო ანგარიშებზე	8	12033
სხვა ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	194	201
სულ:	13824	952368

3.2. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2021 წლის მდგომარეობით	ნაშთი 2020 წლის მდგომარეობით
გასაყიდი საქონელი	2628	3745
ნედლეული და მასალები	2696198	2619640
მზა პროდუქცია	552373	801971
საწვავ- საცხები მასალები	6872	3703
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	66289	74808
სულ:	3324360	3503867

3.3. სხვა მიმდინარე აქტივები:

სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს წინასწარ გადახდილ გადასახადს და გასაღდირებული საგადასახადო ზედმეტობის ნაშთს

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
წინსწრებით გადახდილი გადასახადი	129496	2039
საღდირებული დავალიანება	-3617	
სულ:	125879	2039

3.4. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	2021 წელი ზრდა ან შემცირება	2021 წელი დარიცხული ცვითა	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით	2020 წელი ზრდა ან შემცირება	2020 წელი დარიცხული ცვითა	ნაშთი 01.01.2020 მდგომარეობით
მიწის ნაკვეთი ს/კოდი 53.20.33.191 ყოფ. 53.17.144.028 (1200 მ2)	5780	0		5780	0		5780
ნაყოფის მომცემი კულტურები	8035		297	8332		297	8629
დასამონტაჟებელი ძირითადი საშუალებები	0	0	0	0	-171365	0	174502
მიმოსვლის გზები	7097		429	7525		429	7954
შენობები	143275	0	11316	154591	28564	10744	136771
ნაგებობები	7020		470	7490	0	470	7960
მანქანა-დანადგარები	356376	0	75844.00	432220	14743	75078	492555
ელექტროძრავები და დიზელ-გენერატორები	2918		1769	4687		1784	6471
ელექტროგადამცემის საშუალებები	2790		1081	3871		1081	4952
მილსადენები	0			0			0
კონსტრუქციები	2279	0	389	2668	282	377	2763
ოფისის აღჭურვი კომპ. ტექნის და ავეჯის გარდა	10313	1902	3500	11911	576	3298	14633
კომპიუტ. ტექნიკა და პერიფერ მოწყობები	15788	2679	6432	19541	18368	5927	7100
ელექტრონულ მოწყ გარდა კომპიუტერ ტექნიკ	0		0	0	0	0	0
ავეჯი	0	0		0			0
ინვენტარი	11801	291	6223	17733	11178	5363	11918
სპეციალური ინსტრუმენტები	1052	1088	36	0			0
მსუბუქი ავტომობილები	14860	0	10687	25547	0	10687	36234
ავტოსატრანსპორტო ტექნიკა გზებზე გამოსაყენლად	3652		5478	9130		5478	14608
სხვა ავტოტრანსპორტი	0	0	1125	1125	-4166	4167	9458
სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	208896	67077	17976	159795	158525	8967	10237
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	2931	2822	6062	6171	7541	9895	8525
სულ:	804862	75859	149114	878117	64246	144042	961050

3.5. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები.

ეს მუხლი მოიცავს რეზიდენტი ბანკისგან აღებულ სესხს.

	ნაშთი 31.12.2021 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2020 მდგომარეობით
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი რეზიდენტი ბანკიდან 2021	56296	49685
	0	
სულ:	56296	49685

3.5. გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები:

31.12.2021 წ. მდგომარეობით კომპანიას აღებული აქვს გრძელვადიანი სესხი 51102 ლარი ადგილობრივი ბანკიდან.

3.6. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2020-2021 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა ყურძნის გადამამუშავებით მიღებული ღვინისა და არყის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებისგან, ასევე, ღვინის ჩამოსხმის მომსახურებისგან და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

3.7. ცვეთა/ ამორტიზაციის ხარჯი

	2021
საერთო დანიშნულების ძირითადი საშუალების ცვეთა	46397.02
საერთო დანიშნულების არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	946.45
ახალი სასაწყობო პროგრამის ამორტიზაცია	4365.21
სულ:	51709

3.8. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები (გარდა სხვა მუხლებში განცალკევებულად ასახული შრომის ანაზღაურების, იჯარის, პროცენტების, ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯებისა):

	2021 წელი
საექსპლუატაციო ხარჯები და რემონტი	-46752
მასალების დანახარჯები	-6026
რეკლამის და მარკეტინგის ხარჯი	-11915
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯი	-12336
მიწოდების ხარჯი	-41562
კომუნალური გადასახადები(ელექტრ ენერგ,წყალი,გაზი დასუფთავება)	-14216
საკომუნიკაციო ხარჯი	-8107
დაზღვევის ხარჯი	-6157
საწვავის ხარჯი	-29650
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	-32924
საექვო ვალების ხარჯი	12404
საბანკო ხარჯი	-12161
საბანკო ხარჯები კონვერტაციიდან	-16487
მწვანე ნარგავებზე და ბიოლოგიურ აქტივებზე	-944
საგადასახადო ხარჯი	-16184
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	-26998
სულ:	-270015

3.9. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯები

	2021 წელი
არასაოპერაციო მოგება მ/ს	21692
შემოსავალი ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ სესხის თანადაფინანსებიდან	14984
შემოსავალი ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ ყურძნის თანადაფინანსებიდან	68191
სხვა /შემოსავალი	853
COVID-19 პანდემიასთან დაკავშირებული არასაოპერაციო შემოსავალი	6152
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	-2351
სხვა /ხარჯები	-1164
სულ:	108357

3.10. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2021 წლის	ნაშთი 31.12.2020 წლის
	მდგომარეობით	მდგომარეობით
წესდებით დადგენილი კაპიტალი		
	497816	497816
გაუნაწილებელი მოგება	3307383	
		3716609
სულ	3805199	4214425

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, კომპანიის

2021 წლის მოგება შემცირებულია მოგების გადასახადის მხოლოდ იმ ოდენობით, რაც წარმოიშვა 2021 წელს გაცემული დივიდენდებიდან (მოგების განაწილებიდან).

3.10. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

კომპანიის 2021წლის ფინანსური შედეგი შემცირებულია იმ მოგების გადასახადის ხარჯით, რომელიც წარმოიშვა მოგებიდან დივიდენდების გაცემის შედეგად („ესტონური მოდელის“ შესაბამისად).

3.11. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2020-2021 წლებში მსოფლიო მასშტაბით, გავრცელებულმა ახალი კორონავირუსმა COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. ეს ვითარება გაგრძელდა 2021 წელსაც.

შექმნილმა სიტუაციამ გამოიწვია შიდა ბაზარზე შემოსავლების შემცირება, მაგრამ ამის მიუხედავად, კომპანიას არსებითი სახის ფინანსური სირთულეები არ შექმნია და კომპანია უწყვეტ და ჩვეულებრივ რეჟიმში აგრძელებდა ფუნქციონირებას.

3.12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 01 აგვისტოს.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2021	31.12.2020	01.01.2020	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13824	952368	593010	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	146227	101408	259345	
ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	29416	2563	25720	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები				
მარაგები	3324360	3503867	3474528	3.2
მ.შ. - შზა პროდუქცია	552372	801971	86537	
- სხვა	2771988	2701896	3387991	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	125879	2039	157359	3.3
ბიოლოგიური აქტივები	50	50	50	
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით	50	50	50	
- გადაფასების მოდელით				
გუდვითი				
სხვა არამატერიალური აქტივები	18772	24083	29798	
ძირითადი საშუალებები	804862	878117	961050	3.4
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	4463390	5464495	5500860	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	25932	43611	143575	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	4958	2966	3192	
საგადასახადო ვალდებულებები		15172	51625	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	519903	1031238	84695	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	56296	49685	36789	3.5
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	51102	107398	163927	
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	658191	1250070	483803	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)	497816	497816	497816	
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	3307383	3716609	4519241	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	3805199	4214425	5017057	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4463390	5464495	5500860	
სულ მოკლევადიანი აქტივები	3639706	4562245	4458552	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	607089	1142672	293855	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.08.2022 წ.

დირექტორები:



გ. მარკოზაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	2021	2020	
ნეტო ამონაგები	7578398	6086667	3.6
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან	7532437	6031998	
- მომსახურების გაწევიდან	45961	54669	
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-3869758	-3111566	
საერთო მოგება	3708640	2975101	
სხვა საოპერაციო შემოსავალი	790	795	3.7
დასაქმებულთა ანაზღაურება	-444325	-397500	
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-51709	-55654	
საპროცენტო შემოსავალი	4865		
საპროცენტო ხარჯი	-17027	-23081	3.8
იჯარის ხარჯი	-1200	-1200	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-270015	-324717	
სულ საოპერაციო ხარჯები	-778621	-801357	
საოპერაციო მოგება	2930019	2173744	
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა			3.9
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	-8537	101145	3.9
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	108357	11792	
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	3029839	2286681	
მოგების გადასახადის ხარჯი	-515750	-459061	3.10
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	2514089	1827620	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)			3.10
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	2514089	1827620	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	4214425	5017057	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)			3.10
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-2922583	-2601343	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	-732	-28909	
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	3805199	4214425	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.08.2022 წ.

დირექტორები:



გ. მარკოზაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



შპს "კახური"


ფულადი ნაკადების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2021	2020
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1858313	2826343
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	-41103	-19902
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-2759992	-2537989
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა/გასვლა წლის განმავლობაში	-942782	268452
სავალუტო კურსის ეფექტი	4238	90906
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	952368	593010
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	13824	952368

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 01.08.2022 წ.

დირექტორები:



გ. მარკოზაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.